მოსაზრების ჭეშმარიტების ხარისხი

მოამზადა ეკატერინე კორძაძე

ხშირია ისეთი ამოცანები, როცა გარკვეულ სიტუაციაში გამოთქმულია ვარაუდი და საჭიროა ამ ვარაუდის ჭეშმარიტების შეფასება. ასეთი შეფასება შეიძლება გამოიხატებოდეს მისი ეჭვქვეშ დაყენების ან მისი მხარდამჭერი დამატებითი სტიმულების, არგუმენტების, ფაქტების საშუალებით. ჩვენ უნდა შევაფასოთ წარმოდგენილი ვარიანტების დამოკიდებულება გამოთქმულ ვარაუდებთან.

მ ა გ ა ლ ი თ ი -1 ფსიქოლოგებმა, რომლებიც მცირეწლოვან დამნაშავეებთან მუშაობდნენ, თავიანთ ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნეს, რომ მათი მუშაობის ეფექტი საკმაოდ დაბალი იყო – იმ მცირეწლოვანთა დიდმა ნაწილმა, რომელთაც მათ დახმარება გაუწიეს, ხელმეორედ ჩაიდინა დანაშაული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევის შედეგად კი აღმოჩნდა, რომ მცირეწლოვან დამნაშავეთა შორის საგრძნობლად იკლო დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის შემთხვევებმა.

რით შეიძლება აიხსნას წინააღმდეგობა, რომელიც თითქოსდა არსებობს ფსიქოლოგთა დასკვნასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს შორის?

ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ჩატარებული კვლევის შედეგები

შეჯერებულ იქნა ფსიქოლოგთა მონაცემებთან;

ბ) დანაშაულის ხელმეორედ ჩადენა დიდ რისკთანაა დაკავშირებული, რასაც მოზარდები, ჩვეულებრივ, თავს არიდებენ;

გ) იმ მცირეწლოვან დამნაშავეებს, რომლებიც კვლევაში მონაწილეობდნენ, უჭირთ ფსიქოლოგთა დახმარების გარეშე გაუმკლავდნენ დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის ცდუნებას;

დ) ფსიქოლოგები მუშაობდნენ დამნაშავეთა კონკრეტულ კატეგორიასთან, რის გამოც მათ ანგარიშში ვერ აისახა მცირეწლოვან დამნაშავეთა ჯგუფისათვის დამახასიათებელი ზოგადი ტენდენცია.

პასუხების ა), ბ) და გ) ვარიანტები წინააღმდეგობაში არ შედის გამოტანილ დასკვნებს შორის. თუკი დ) პასუხის თანახმად, მეცნიერები მუშაობდნენ შეზღუდული რაოდენობის დამნაშავეებთან, მათ არ ექნებოდათ ზოგადი ტენდენციის ხედვა. ეს კი ფართომასშტაბიანი კვლევის თანახმად, განსხვავდებოდა მეცნიერთა დასკვნისაგან. **პ ა ს უ ხ ი : დ).**

მ ა გ ა ლ ი თ ი -2 ივნისში მაღაზიაში გაყიდული ტელევიზორების რაოდენობა გაცილებით აღემატებოდა ყველა სხვა სახის გაყიდული საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის (მაცივრების, სარეცხი მანქანების და ა. შ.) რაოდენობას. მაღაზიის მეპატრონემ ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ ახლოვდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აყენებს ეჭვქვეშ მაღაზიის მეპატრონის მოსაზრებას?

ა) ტელევიზორები, ზოგადად, უფრო ძვირია, ვიდრე სხვა საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკა;

ბ) ფეხბურთში წინა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდეც ასევე მოხდა – მაღაზიაში გაცილებით მეტი რაოდენობის ტელევიზორი გაიყიდა, ვიდრე – სხვა ელექტროდანადგარები;

გ) წინასაზაფხულო პერიოდში მყიდველებისთვის მაცივრების შეძენა, ტელევიზორებთან შედარებით, გაცილებით აქტუალური ხდება;

დ) ადამიანები თავისუფალი დროის უდიდეს ნაწილს ტელევიზორის ყურებას უთმობენ, ზაფხულის თვეებში კი მათ გაცილებით მეტი თავისუფალი დრო აქვთ, ვიდრე – წელიწადის სხვა დროს.

პასუხის ა) ვარიანტი არც ეჭვქვეშ აყენებს გამოთქმულ მოსაზრებას და არც ამყარებს ამ აზრს. ბ) ვარიანტში ჩვენ ვღებულობთ მეპატრონის აზრის გამყარების საფუძველს. გ) ვარიანტი არ პასუხობს დასმულ კითხვას. დ) ვარიანტში ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანებს უჩნდებათ განწყობა შეიძინონ მეტი ტელევიზორები, ვიდრე სხვა ტექნიკა. **პ ა ს უ ხ ი : დ).**

მ ა გ ა ლ ი თ ი - 3 დიასახლისები გადაცემებს უყურებენ დღის გარკვეულ მონაკვეთში. გამოკითხვა ყოველდღე ერთსა და იმავე დროს ტარდებოდა. კითხვაზე, “რომელ ტელეგადაცემას უყურებთ ახლა?”, გამოკითხულთა უმრავლესობა პასუხობდა – “ტელესერიალს”.

მიღებული შედეგების საფუძველზე ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ ივარაუდა, რომ ტელესერიალები ტელეგადაცემათა ყველაზე პოპულარული კატეგორიაა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი აყენებს ეჭვქვეშ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის ვარაუდს?

ა) გამოკითხვისთვის შერჩეული დრო ემთხვეოდა იმ პერიოდს, როდესაც მაყურებელთა უმრავლესობა სამსახურიდან მოსვლის შემდეგ ისვენებს და, შესაბამისად, მსუბუქ, გასართობ პროგრამებს ანიჭებს უპირატესობას;

ბ) გამოკითხვისთვის შერჩეული დროის მონაკვეთში ყველა ტელეარხზე, როგორც წესი, ტელესერიალებს უჩვენებენ;

გ) ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის მოლოდინის საპირისპიროდ, აღმოჩნდა, რომ ქალბატონებთან ერთად ტელესერიალებს მამაკაცებიც სიამოვნებით უყურებდნენ;

დ) ადამიანი ადვილად ეჩვევა ტელესერიალების ყურებას, რის გამოც ეს პროცესი მაყურებელთა უმრავლესობისთვის ყოველდღიურ აუცილებლობადაა ქცეული.

რადგან გამოკითხვა ტარდებოდა დღის გარკვეულ მონაკვეთში და ამ დროს უმრავლესი ტელეარხები მხოლოდ სერიალებს უჩვენებდნენ, მაყურებლებიც მხოლოდ სერიალებს უყურებდნენ. ამიტომ არ შეიძლება დავასკვნათ, რომ სერიალები გადაცემათა ყველაზე პოპულარული კატეგორიაა. **პ ა ს უ ხ ი : ბ).**

მ ა გ ა ლ ი თ ი -4 მოცემულია:

- ტელევიზორი ელექტრო საქონელია;
- მაღაზია „გუდვილში“ ელექტრო საქონელი იყიდება.

მაშასადამე, ტელევიზორი „გუდვილში“ იყიდება.

ეს დასკვნა:

ა) გამომდინარეობს ერთ-ერთი წინადადებიდან;

ბ) გამომდინარეობს თითოეული წინადადებიდან ცალ-ცალკე;

გ) გამომდინარეობს ორივე წინადადებიდან ერთობლივად;

დ) არ გამომდინარეობს მოცემული წინადადებიდან.

არ შეიძლება ტრანზიტულობის გამოყენება რადგან ამ ორ წინადადებას არა აქვთ საერთო ნაწილი. **პ ა ს უ ხ ი : დ).**

მ ა გ ა ლ ი თ ი -5 „რა, სად, როდის“ თამაშში შემოიტანეს შავი ყუთი, რომელშიც, წამყვანის გამონათვამიდან ვიცით, რომ დევს ან ბურთი ან ფანქარი. გიორგი, ანანო და ნინა გამოთქვამენ ვარაუდს ყუთში ჩადებული ნივთისა და მისი ფერის შესახებ.

- გიორგი ამბობს, რომ ყუთში წითელი ბურთია;
- ანანო ამბობს, რომ ყუთში თეთრი ბურთია;
- ნინა ამბობს, რომ ყუთში მწვანე ფანქარია.

აღმოჩნდა, რომ თითოეული გამოთქმული ვარაუდიდან ერთი ნაწილი ჭეშმარიტია, მეორე კი არა. რა დევს ყუთში?

ა) თეთრი ბურთი;

ბ) მწვანე ფანქარი;

გ) მწვანე ბურთი;

დ) შავი ფანქარი.

თუ დავუშვებთ, რომ ყუთში ბურთია, მაშინ ის არც წითელია და არც თეთრი. ამიტომ ის მწვანე უნდა იყოს. გამოვა, რომ გიორგის, ანანოსა და ნინას ვარაუდებში ერთი ნაწილი სწორია და მეორე ნაწილი – არასწორი. პ ა ს უ ხ ი : გ).

მ ა გ ა ლ ი თ ი - 6 მოცემულია:

- უნივერსიტეტში სტუდენტები სწავლობენ;
- ზოგიერთი სტუდენტი ზარმაცია;
- სტუდენტი განათლებული ადამიანია.

ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

ა) ყველა ზარმაცი სტუდენტი უნივერსიტეტში სწავლობს;

ბ) უნივერსიტეტში ზოგიერთი განათლებული სტუდენტი ზარმაცია;

გ) არც ერთი განათლებული სტუდენტი არ არის ზარმაცი;

დ) ყველა ზარმაცი და განათლებული ადამიანი უნივერსიტეტში სწავლობს.

მოცემულობით სტუდენტები განათლებულნი არიან, უნივერსიტეტში სწავლობენ და ზოგიერთი მათგანი ზარმაცია. პ ა ს უ ხ ი : ბ).

მ ა გ ა ლ ი თ ი -7 ვთქვათ, A, B და C რაღაც სიმრავლეებია. ამასთან

- $A \subseteq B$;
- $B \cap C = \emptyset$.

თუ ეს დებულებები ჭეშმარიტია, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი იქნება აუცილებლად ჭეშმარიტი?

ა) არც ერთი A არ არის C;

ბ) ზოგიერთი A არ არის C;

გ) ზოგიერთი A არ არის B;

დ) არც ერთი პასუხი სწორი არ არის.

შეგვიძლია გამოვიყენოთ ვენის დიაგრამა:



დიაგრამიდან ჩანს, რომ სწორი **პ ა ს უ ხ ი ა : ა).**

მ ა გ ა ლ ი თ ი - 8 ინტენსიური ვარჯიშების შემდეგ „დინამომ“ წააგო შემდეგი შეხვედრა. ამის საფუძველზე გუნდის მფლობელმა გააკეთა ვარაუდი, რომ ვარჯიშები არასწორად იყო დაგეგმილი და ჩატარებული.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გააძლიერებდა ზემოთ მოცემულ ვარაუდს?

ა) მოწინააღმდეგე გუნდი ბევრად უფრო ძლიერი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული;

ბ) გუნდი ქვეყანაში უძლიერესად ითვლება;

გ) გუნდმა რამოდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გაყიდა;

დ) მოწინააღმდეგე გუნდი ყოველთვის სუსტად თამაშობს „დინამოსთან“.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდი უძლიერესად ითვლება ქვეყანაში, მაინც წააგო თამაში. ეს აძლიერებს გამოთქმულ ვარაუდს. **პ ა ს უ ხ ი :** ბ).

მ ა გ ა ლ ი თ ი - 9 სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, კერძო სექტორში დასაქმებული სპეციალისტის შემოსავალი საშუალოდ 50%-ით აღემატება იმავე კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის შემოსავალს საჯარო სამსახურში. ამის მიუხედავად, საჯარო სამსახურში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ნაკლებობა არ არის. ამის საფუძველზე ექსპერტმა ივარაუდა, რომ საჯარო მოხელეების მუშაობის ძირითადი მოტივი არ არის ფინანსური დაინტერესება.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება განამტკიცებს ამ ვარაუდს?

ა) კერძო სექტორში დასაქმებული სპეციალისტებისთვის დაწინაურების გზით ანაზღაურების გაზრდის ალბათობა უფრო მცირეა, ვიდრე საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის;

ბ) საჯარო სამსახურში სპეციალისტებისთვის კვალიფიკაციის მიმართ არ არის იმდენად მაღალი მოთხოვნები, როგორც კერძო სექტორში;

გ) კერძო სექტორში დასაქმებული სპეციალისტების სამუშაო, საზოგადოდ, უფრო სტრესულია, ვიდრე საჯარო სამსახურში დასაქმებულ სპეციალისტთა სამუშაო;

დ) საჯარო მოსამსახურეები დამატებითი შეღავათებით სარგებლობენ, რაც შედარებით დაბალი ხელფასების ერთგვარი კომპენსაციაა.

საჯარო სამსახურში მუშაობის პირობები უფრო მშვიდ და სტაბილურ გარემოში მიმდინარეობს ვიდრე კერძო სექტორში (გ)დებულება). **პ ა ს უ ხ ი : გ).**